საქართველოს მთავრობის

დადგენილება №380

2025 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №298 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №298 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/06/2017, 120020000.10.003.020007) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, აგრეთვე საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან სახელმწიფო საზღვრის განსაზღვრისა და დადგენის საკითხებზე მოლაპარაკებების წარმოების, გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. **ლაშა დარსალია** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებში საქართველოს სპეციალური წარმომადგენელი.

2. **ნოდარ ხორბალაძე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის უფროსი (პოლკოვნიკი) – კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. **ვახტანგ ტყეშელაშვილი** – საქართვლოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის ტექნიკური მონიტორინგის სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი.

4. **თედო გორგოძე** – საქართვლოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის კარტოგრაფიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი.

5. **ქეთევან სარაჯიშვილი** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

6. **ირაკლი გოცაძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.

7. **გალაქტიონ ხახუბია** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის

სამსახურის კოორდინატორი – კომისიის წევრი.

8. **ბექა დავითულიანი** – საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი.

9. **ლევან ღირსიაშვილი** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის წევრი.

10. **ირაკლი ჭედიშვილი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი – კომისიის წევრი.

11. **ლაშა მარტიაშვილი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი – კომისიის წევრი.

12. **გოჩა ლომიძე** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო საქმიანობის დაგეგმარების, კოორდინაციის, ზედამხედველობის, სასაზღვრო წარმომადგენლობისა და სადელიმიტაციო-სადემარკაციო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი – კომისიის წევრი.

13. **ირმა გაბუნია** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო საქმიანობის დაგეგმარების, კოორდინაციის, ზედამხედველობის, სასაზღვრო წარმომადგენლობისა და სადელიმიტაციო-სადემარკაციო მთავარი სამმართველოს სასაზღვრო საქმიანობის დაგეგმარების, კოორდინაციის, სასაზღვრო წარმომადგენლობისა და სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი – კომისიის წევრი.

14. **გიორგი გუნცაძე** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი.

15. **ზვიად ზვიადაძე** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

16. **ზურაბ წიკლაური** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი – კომისიის წევრი.

17. **მერაბ არახამია** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი.

18. **მინდია გრძელიძე** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის სანიტარიულ-ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი.

19. **დავით მეტრეველი** – საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

20. **გიორგი დიდიძე** – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

21. **ანდრო ასლანიშვილი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი – კომისიის წევრი.

22. **მერაბ ქვარაია** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე – კომისიის წევრი.

23. **მანუჩარ დათიაშვილი** – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი – კომისიის წევრი.

24. **დიანა მალაზონია** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საქმეთა დირექტორატის ევროპის დეპარტამენტის მეზობელი ქვეყნების სამმართველოს უფროსი – კომისიის მდივანი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**